საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/718

ქ. ბათუმი 18 ნოემბერი, 2021 წ.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის №01-08/688 ბრძანებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტთა მიმართ, რომელთაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიზნით აღნიშნული ბრძანება სტუდენტებს გაეგზავნათ, ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრირებულ და ელექტრონულ მისამართებზე, თუმცა მათ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2021 წლის 15 ოქტომბრის MES 4 21 0001091186 სამსახურებრივი ბარათის, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის №01-08/688 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეთ ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ პროფესიულ სტუდენტებს ***(დანართი №1)***, რომელთაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, პროფესიულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

3. ბრძანება აისახოს ბსუ-ს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის პროფესიულ სტუდენტს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა პროფესიულ სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე"

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 18 ნოემბრის № 01-08/218 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ის პროფესიული სტუდენტები, რომლებმაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

№	პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების № და თარიღი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
1	ჯანა ვასაძე		N 01-09/349, 28.05.2018, ხელშეკრულება N P(n) 18-034, 25.05.2018	„პრაქტიკოსი ექთანი"
2	თეონა სურმავა		N 01-09/349, 28.05.2018, ხელშეკრულება N P(n) 18-022, 25.05.2018	„პრაქტიკოსი ექთანი"
3	თამარი ქავჯარაძე		N 01-09/349, 28.05.2018, ხელშეკრულება N P(n) 18-028, 25.05.2018	„პრაქტიკოსი ექთანი"
4	ნატო შაშიკაძე		N 01-09/349, 28.05.2018, ხელშეკრულება N P(n) 18-025, 25.05.2018	„პრაქტიკოსი ექთანი"
5	ციცინო გოგიტიძე		N 01-09/349, 28.05.2018, ხელშეკრულება N P(n) 18-023, 25.05.2018	„პრაქტიკოსი ექთანი"
6	მეგი ხოზრევანიძე		N 01-09/349, 28.05.2018, ხელშეკრულება N P(n) 18-034, 25.05.2018	„პრაქტიკოსი ექთანი"